წერილის ნომერი: **17-01183051193**
თარიღი: **01/11/2018**
პინი: **9176**

ადრესატი: მალხაზი ფავლენიშვილი
პირადი ნომერი: 01009011590
მისამართი: ბოლნისი ს. ბალიჭი

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ბატონო მალხაზ,

თქვენი N19/01181002703-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, დასახლება ზემო ვეძისი, N6-**ში** (საკ. კოდი 01.10.18.009.046) 2016 წლის 04 იანვრის N2371320 (AR1350821) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლო ბის გამო, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით ინსპექცია გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:
ფასადებზე შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი გაბარიტი და ფერი. დამატებულია კონდიციონერები, გამწოვი მილები და სატელიტური ანტენები. აივნებზე მოაჯირებში შეცვლილია დანაყოფების რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია კარადების გაბარიტი. „F-A„ და „A-F„ ფასადებზე შეცვლილია ვიტრაჟების რაოდენობა.
სახურავზე შეცვლილია სავენტილაციო შახტების მდებარეობა.
„5-1“ ფასადი: „5-1“ მონაკვეთში დამატებულია ფრამუგები და გამწოვები.
„F-K„ ფასადი: შენობის ძირში „G-H„ მონაკვეთში დამატებულია კაპიტალური კედლები. ამავე მონაკვეთში +3,40 ნიშნულის ქვეშ დამატებულია რიგელი. ±0,00 ნიშნულზე შეცვლილია კარის ნახატი და გაბარიტი. +13,60 ნიშნულზე სადარმაზოს წინ გაუქმებულია დეკორატიული მოპირკეთება. +17,00 ნიშნულზე გაზრდილია სადარბაზოს და ცხაურის გაბარიტი.
„K-F„ ფასადი: „I“ ღერძთან დამატებულია გისოსი. „G-F„ მონაკვეთში დამატებულია ავტოფარეხის კარი.
შენობის შიგნით სართულების ნაწილზე კოლონების გაბარიტული ზომა არ შეესაბამება საპროექტოს. შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. -3,00 ნიშნულზე არ არის მოწყობილი ტამბური. შემცირებულია ლიფტის კარის ღიობის სიგანე. „K“ ღერძზე „3-5“ მონაკვეთში დამატებულია კედელი, რის გამოც შემცირებულია ღიობის გაბარიტი და დამატებულია კარი. „F“ ღერძზე „5-3“ მონაკვეთში დამატებულია კედელი, რის გამოც შემცირებულია ღიობის გაბარიტი. +13,60 ნიშნულზე შეცვლილია აივნის გაბარიტი. შემცირებულია კოლონების რაოდენობა და ნაწილს მონაცვლებული აქვს ადგილი. „3“ და „J[I]“ ღერძების კვეთასთან შეცვლილია სავენტილაციო შახტის გაბარიტი.
გაზრდილია ავტომობილის დახრის პროცენტულობა, „K“ ღერძთან გაუქმებულია პანდუსის კედელი, რის გამოც გაზრდილია პანდუსის სიგანე. შეცვლილია ტერიტორიის მოწყობა.
ფასადის ნახაზებზე რიგელები სრულად არ არის ასახული და შესრულებულია ჭრილის ნახაზების მიხედვით.
ტერიტორიაზე კედლების და კიბის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს.
დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში

დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”.

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

გადაწყვეტილება №4390350-ის მესამე პუნქტის პასუხად გაცნობებთ:
ვსარგებლობთ ზედამხედველობის სამსახურის ექსკლუზიური მომსახურებით, შესაბამისად ჯარიმის თანხის გადახდის

ვალდებულება არ გვაქვს